გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება N 221

2023 წლის 8 დეკემბერი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირობიანი აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის, თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში 2023 წლის 6 სექტემბერს (N19/2023249109-20) შემოსულია განცხადება, რომელშიც მოთხოვნილია, სოფელ ფლავისმანში მდებარე, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ს/კ 66.48.06.019 მიწის ნაკვეთიდან 1 კვ.მ უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულებით გადაცემა სწრაფი ჩარიცხვის აპარატის განთავსების მიზნით.

აუდიტური კომპანიის შპს „კომპაუდის'' მიერ 2023 წლის 19 ოქტომბრის N 367-ქ ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან ს/კ 66.48.06.019 (მისამართი: გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ფლავისმანი, დაზუსტებული ფართობი - 1170 კვ.მ) 1 კვ.მ საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა: 520.00 (ხუთას ოცი) ლარით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას არ აქვს დაგეგმილი ზემოთ აღნიშნული ქონების რაიმე დამატებითი დანიშნულებით გამოყენება და მისი დროებითი სარგებლობის უფლებით გაცემა ბიუჯეტს შეავსებს გარკვეული ოდენობის თანხით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, ზემოთ აღნიშნული ქონების, პირობიანი აუქციონის წესით, დროებითი სარგებლობის უფლებით (იჯარა) გაცემა, რისთვისაც საჭიროა ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის #669 დადგენილების 36-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო ღირებულება და იჯარის წლიური საფასურის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1.მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან ს/კ 66.48.06.019 ფართობით 1 კვ.მ (მისამართი: სოფელი ფლავისმანი), თვითმომსახურების ტერმინალის, სწრაფი ჩარიცხვის აპარატის განთავსების მიზნით, გასცეს სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ელექტრონული აუქციონის წესით.

2. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან ს/კ 66.48.06.019 (მისამართი: გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ფლავისმანი, დაზუსტებული ფართობი - 1170 კვ.მ) 1 კვ.მ მიწის ნაკვეთის საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 520.00 (ხუთას ოცი) ლარით.

3.საწყისი წლიური საიჯარო ქირა მიწის ნაკვეთზე ს/კ 66.48.06.019 განისაზღვროს 300 (სამასი) ლარით.

4.იჯარის ფორმით გადაცემის ვადა განისაზღვროს 2 (ორი) წლის ვადით.

5.აუქციონის პირობად განისაზღვროს შემდეგი: ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთი გაცემული იქნეს თვითმომსახურების ტერმინალის, სწრაფი ჩარიცხვის აპარატის განთავსების მიზნით. თვითმომსახურების ტერმინალის, სწრაფი ჩარიცხვის აპარატის განთავსების დროს დაცული იყოს უსაფრთხოების ნორმები. ასევე, გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულება (რაც ორი კვირით ადრე ეცნობება მოიჯარეს). იჯარის ფორმით გადაცემული ქონება გამოთავისუფლებულ იქნას ,,მოიჯარის'' მიერ საკუთარი ხარჯებით.

6.განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

7.განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით, გორის რაიონულ სასამართლოში (მის. გორი, ს. ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**